ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010123933474416

№16/157891

20 / ივნისი / **2016** წ.

ივანე თაბაგარი /01006013832/ დიღმის მას. 5 კვ.
კორ 15. ბ 58

ბატონო ივანე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #184850/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-184850/12
"17" 06. 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ბუაჩიძის ქ. №41-ში (საკ. კოდი №01.12.07.004.019) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1607069 11.12.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ბუაჩიძის ქ. №41-ში (საკ. კოდი №01.12.07.004.019) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და ფანჯრების ნახატები. ფასადებზე დამატებულია სატელიტური ანტენები, გამწოვი მილები, საჰაერო და კონდიციონერები. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერები. +0.00 ნიშნულის ქვევით გაუქმებულია კიბის საფეხურები და ბაქნები. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტები, რაოდენობა და ადგილმდებარეობა. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია ფასადებზე კედლების ფორმები.

"5-1" ფასადი: "2" ღერძის მიმდებარედ ნაწილობრივ შეცვლილია აივნების ფორმები და მათზე მდებარე ტიხრების ფორმები.

"ე-ა" ფასადი: +0.00 ნიშნულის ქვევით "დ" ღერძთან შემცირებულია ღიობის სიგანე. "გ-ბ" მონაკვეთში დამატებულია გისოსი და ცხაური. "ბ-ა" მონაკვეთში შემცირებულია ავტოსადგომზე ჩასასვლელი კარის სიმაღლე და შეცვლილია კარის ტიპი. ამავე ღერძთან აივნებზე ნაწილობრივ გაუქმებულია კაპიტალური კედელი. "გ" ღერძთან +16.500 ნიშნულზე აივანზე მარცხენა მხარეს კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

"1-5" ფასადი: +0.00 ნისნულის ქვემოთ ფრამუგებზე მოწყობილია გისოსები, ხოლო "3" ღერძთან მდებარე ფრამუგაზე გაუქმებულია. "2" ღერძის მარცხნივ მდებარე ღიობის სიმაღლე გაზრდილია.

+16.500 ნუშნულზე "1-5" ფასადის მხაერს "1-2" მონაკვეთში აივნები გაერთიანებულია და კაპიტალური ტიხარის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. "2" ღერძთან აივნებს შორის დამაკავშირებელ ფილაზე გაუქმებულია კედლები და კარები.

+19.800 ნიშნულზე სამანქანოზე დამატებულია კარი, რომელიც შესაღებია, ხოლო საპროექტო კარის ნახატი შეცვლილია. გაზრდილია ლიფტის შახტის სიმაღლე. "1-2" მონაკვეთში შეცვლილია სავენტილაციო შახტის ფორმა.

ფასადებზე ნაწილობრივ ჩამოცვენილია ნალესი, ხოლო ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები.

"ე-ა" ფასადზე "ა" ღერძთან დამატებულია კაპიტალური კედელი, რომელიც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №20-94 30.12.2014წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ"

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. იბა „ბუაჩიძის 41"-ს (ივანე თაბაგარს) ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ბუაჩიძის ქ. №41-ში (საკ. კოდი №01.12.07.004.019) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №184850/12 25.05.2016წ. №190572/12 31.05.2016წ. №194832/12 03.06.2016წ. და №195173/12 03.06.2016წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**